

რა უნდა ვიცოდეთ თავის ტილების შესახებ

თავის ტილები არასასიამოვნო, თუმცა არც საფრთხის შემცველი მოვლენაა. თავის ტილები არ არის გამოწვეული პირადი ჰიგიენის უკმარისობით, მაგრამ მარტივად გადამდებია ადამიანის თავიდან თავზე.

იხილეთ მოკლე ინფორმაცია ტილების შესახებ: რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, როგორ უნდა ვუმკურნალოთ თავის ტილებს და რა პროცედურები უნდა განვახორციელოთ მკურნალობის შემდეგ.

1. თავის ტილების გადადება ხდება მხოლოდ ადამიანის თავიდან მეორე ადამიანის თავზე.

თავის ტილები არ ცხოვრობენ ხეებზე, ბუდეებში ან ბინძურ ბინებში! ისინი ცხოვრობენ მხოლოდ ადამიანის თავზე. რადგანაც ისინი მუდმივად პულოზებენ ადამიანის თავს ბინადრობისთვის, მათი გადაშენება არ ხდება.

2. თავის ტილი შეიძლება ნებისმიერ ადამიანს შეესიოს.

თავის ტილი გადადის ადამიანიდან ადამიანზე. ყველას, ვისაც მჭიდრო კონტაქტი აქვს სხვა ადამიანებთან, შესაძლებელია გადაედოს ტილები. ტილებს არაფერი აქვთ საერთო პირად ჰიგიენასთან, ისინი თავს კარგად გრძნობენ ყველანაირ თავზე, -არ აქვს მნიშვნელობა არის თმა ბინძური თუ დაბანილი, მოკლე თუ გრძელი, სწორი თუ ხვეული. სირცხვილი და საყვედურები ამ შემთხვევაში ნამდვილად უადგილოა.

3. თავის ტილები ადამიანის თავიდან თავზე გადადის.

რადგანაც ტილებს არ შეუძლიათ ფრენა, ხტუნვა, და შეუძლიათ მხოლოდ ცოცვა, მათი გადადებისთვის საჭიროა თავი თავს მიედოს. ეს ხდება, მხოლოდ თავის თავთან შეხებისას, წიგნის ერთად კითხვის დროს, ერთმანეთის გვერდით ჯდომისას.

4. თავის ტილები თითქმის არასდროს გადადის საგნებით.

მართალია ჯიუტად ვრცელდება აზრი, რომ ტილების საგნებით გადადება ხდება, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება: თავის ტილები ძალიან იშვიათად გადადის საგნებით, და ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანი თმასთან კონტაქტში მოდის და მეორე ადამიანის მიერ ძალიან მოკლე დროში გამოიყენება (მაგ: სავარცხელი, ჯაგრისი, ქუდი).

5. თავის ტილები საშიში არ არის.

თავის ტილებს არ გადააქვთ დაავადებები.

6. თავის ტილები უმეტესად გვხდება „ჯგუფებში“.

თუ თქვენს შვილს აღმოაჩნდება ტილები, შეგიძლიათ ივარაუდოთ, რომ ყველა იმ ბავშვს, ვისთანაც მას ახლო კონტაქტი აქვს, ტილები ეყოლება.

ამიტომ ტილების აღმოჩენისას აუცილებელია, ყველას (მეგობრებს, სკოლას, საბავშვო ბაღს) მიაწოდოთ ინფორმაცია ამის შესახებ, რათა ბავშვებმა ერთმანეთს ისევე ხელახლა არ გადასდონ ტილები.

7. ტილების აღმოჩენა

...ცოცხალი ტილები (შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია), წილები (უფრო კარგად ჩანს გამადიდებლით), მათი ზომი დაახლოებით 1სმ-ია და მჭიდროდ ეკვრიან თმას.

8. ტილებთან გამკლავება უსაფრთხოდ და საფუძვლიანად არის შესაძლებელი.

ტილების მკურნალობა საჭიროა ორჯერ (პირველ დღეს, და შემდეგ მე-8, მე-9 ან მე-10 დღეს) დაშვებული ტილების საწინააღმდეგო საშუალებით, გარდა ამისა საჭიროა თმების ჩამოვარცხნა სპეციალური სავარცხლით 2 კვირის განმავლობაში ყოველ მე-4 დღეს. ამ პროცედურების ჩატარების შემდეგ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტილების მოშორება დასრულებულია.

9. ტილების მკურნალობა საკმაოდ დამღლეო პროცედურაა.

მკურნალობას სჭირდება დრო და ენერჯია. განსაკუთრებით არასასიამოვნო ბავშვებისთვის თმის ჩამოვარცხნის პროცესია. მაგრამ მაინც აუცილებელია პროცედურის ბოლომდე ჩატარება, იმ შემთხვევაშიც, თუ შეამჩნევთ, რომ ტილები აღარ არის. მხოლოდ სრული პროცედურის ჩატარების შემთხვევაშია ტილების მოშორება შესაძლებელი.

10. ტანსაცმლისა და თეთრეულის გარეცხვა არის მეორეხარისხოვანი.

ნივთებზე ცოცხალი, მოძრავი ტილის ნახვა არის იშვიათი შემთხვევა (იხილეთ 4). ამიტომ მეტი ყურადღება მიაქციეთ ტილების თავიდან მოშორებას და გარემოცვის ინფორმირებას.

შემდეგ უკვე გამოცვალეთ თეთრეული, გაასუფთავეთ ჯაგრისები, სავარცხლები, ქუდები, ნაჭრის სათამაშოები. ეს უკვე საკმარისი იქნება.
